წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2024 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. საანგარიშო პერიოდი 2024 წლის იანვარი - 2024 წლის ნოემბერი

1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულო (2021-2025)

2024წ. საკრებულოს მიერ მიღებულია:

განკარგულება - 126

დადგენილება - 34

თავმჯდომარის ბრძანება - 173

სულ ჩატარებულია 16 სხდომა, აქედან 11 რიგითი და 5 რიგგარეშე

საკრებულოს წევრები სულ 39
ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო 24

ნაციონალური მოძრაობა – 11

დამოუკიდებელი დეპუტატი - 4

აქედან – კაცი 29, ქალი 10

5 კომისია:

1. იურიდიულ საკითხთა კომისია

2. კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ

საქმეთა კომისია

3. საფინანსო–საბიუჯეტო კომის

4. ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისია

5. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

აქედან – კაცი 4, ქალი 1

2 ფრაქცია:

1. "ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო"

2. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

აქედან – კაცი - 2, ქალი - 0

2.განათლება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტები100%-იანი გრანტით ყოველთვიურად მიიღებენ 200 ლარს, 70%-იანი გრანტით 150 ლარს, ხოლო 50%-იანი გრანტით 100 ლარს.

უნივერსიტეტებში ჩარიცხული აბიტურიენტების რანჟირებული სიის თანახმად, წყალტუბოელ აბიტურიენტთაგან სახელმწიფო დაფინანსებას 35 სტუდენტი მიიღებს. აქედან 100%-იანი გრანტით დაფინანსდებიან:
1. ლიზა ჯომიდავა (წყალტუბოს N1 საჯარო სკოლა)
2. ლუკა ჭუმბურიძე(წყალტუბოს N2 საჯარო სკოლა)
3. დავით ინანეიშვილი (წყალტუბოს N3 საჯარო სკოლა)
4. ანასტასია ლობჟანიძე(წყალტუბოს N4 საჯარო სკოლა)
5. მარიამ ქაჯაია (მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია)
6. თეონა პერანიძე (სოფელ ზედა მესხეთის ბროწეულას საჯარო სკოლა)
7. მურთაზი ბაბუნაშვილი (სოფელ მუხიანის საჯარო სკოლა)
70%-იან დაფინანსებას სახელმწიფოსგან მიიღებენ:
1. ანა კუჭავა (წყალტუბოს N1 საჯარო სკოლა)
2. დავით ჩიხლაძე (წყალტუბოს N1 საჯარო სკოლა)
3. გეგი კოპალიანი (წყალტუბოს N3 საჯარო სკოლა)
4. მონიკა მაცაბერიძე (სოფელ გვიშტიბის საჯარო სკოლა)
5. მარიამ მანაგაძე (სოფელ მაღლაკის N1 საჯარო სკოლა)
23 აბიტურიენტი 50 პროცენტიანი გრანტის მფლობელი გახდა. როგორც ცნობილია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, წარმატებული სტუდენტები მერის სტიპენდიას მიიღებენ.
მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 48 წარმატებულ მოსწავლეს გადაეცა პერსონალური კომპიუტერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის „ჩემი პიველი კომპიუტერის“ ფარგლებში.
ქალაქის ერთ-ერთ სკოლაში გაიხსნა საგანმანათლებლო სივრცე თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკა.
სკოლის დამთავრება მივულოცე მეთორმეტე კლასელებს.
ყველა საჯარო და კერძო სკოლაში სახელმწიფო დროშა აღიმართა და სახელმწიფო ჰიმნი გაჟღერდა.

3. ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

2024 წლის ბიუჯეტიდან ფინასდება 8 ძირითადი და 32 ქვეპროგრამა:

2024 წელს გაიზარდა უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯები 250 - დან 400 ლარი.
ფსორიაზით და პარკისონით დაავადებულთა დახმარება 300-დან 400 ლარი.
უსინათლო პირთა დახმარება 300-დან 400 ლარი.
2024 წლიდან დაემატა 2-18 წლამდე ბავშვების სტაციონალური მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსების პროგრამა 50 000 ლ.
განსაკუთრებით მძიმე და საშიში დაავადების მქონე პირთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამა 50 000 ლარი.
კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებისა და დახმარების პროგრამა 50 000 ლარი.
ვესტუმრეთ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლს“ სადაც ირიცხება 220 ბენეფიციარი
მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს 500-დან 1 000 ლარი.
დედ-მამით ობოლ ბავშვებს 500 -დან 1 200 ლარი.
უსინათლო პირებს 250-დან 300 ლარი
თირკმლის ჩანაცვლების თერაპია 1 800-დან 2 000 ლარი.
„ჩვენი სახლის“ ბენეფიციართა დახმარება 100-დან 150 ლარი.
ონკოლოგიური დაავადების მქონე, 18 წლამდე ბავშვთა დახმარება 1 000-დან 1 500 ლარი.
ქრონიკული დაავადების მქონე პირთა დახმარება 200-დან 300 ლარი.
18 წლამდე ასაკის ბავშვთა საზღვარგარეთ მკურნალობის ხარჯები 5 000 ლარამდე.
სტიქიის შედეგად დაზარებულთა დახმარება 2 000 ლარიდან 5 000 ლარამდე გაიზარდა.
დედ-მამით ობოლ ბავშვებზე დახმარება განისაზღვრება – 400 ლარით, კვარტალში ერთხელ

4.მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებული პროექტები

მოსახლეობასთან შეხვედრების დროს მათი ინტერესებიდან გამომდინარე იგეგმება და ხორციელდება უბნეში
განსახორციელებელი პროექტები, ვსაუბრობთ სამომავლო გეგმებზე და მათ საჭიროებებზე.
ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა თავად

გადაწყვიტოს რომელი პრობლემის მოგვარებაა უფრო მნიშვნელოვანი და მოგვმართოს განცხადებით, ამ შემთხვევაში ბიუჯეტიდან 85 %, ხოლო დანარჩენი 15% ამხანაგობების ანგარიშიდან ფინანსდება. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 12 მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსს, შეიცვალა სახურავები, კარ-ფანჯრები, გაკეთდა ფასადები და სხვა.

დაიწყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამები, სულ 47 სოფელია და 6 სამუშაო ჯგუფი ჩაერთო. ადგილობრივი მოსახლეობა სოფლის კრებებზე კენჭისყრის პრინციპით თავად წყვეტს სოფლის საჭიროებებსა და პრიორიტეტებს

5. ინფრასტრუქტურული პროექტები

წყალტუბოს წყალმომარაგება-წყალარინებისა და შვიდი სოფლის 24 საათიანი წყალმომარაგებისთვის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა წყალარინების ქსელი, მაგისტრალური კოლექტორი, საკანალიზაციო ორ ტუმბოიანი სატუმბო სადგური. ქალაქ წყალტუბოში წყალარინების ინფრასტრუქტურით მოსახლეობის 60% სარგებლობს. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 25 მილიონამდე ლარით ფინანსდება, სამუშაოების დასრულება 2025 წლის მაისში არის დაგეგმილი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჩატარდა გზების გაწმენდის სამუშაოები. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დავასრულეთ სოფელ დღნორისის და საჩხეურას დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა. ხიდის დათვალიერების შემდეგ გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელზეც ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხებზე და სამომავლო გეგმებზე ვისაუბრეთ.

6. მოსახლეობასთან შეხვედრები

მოსახლეობასთან დაგეგმილი შეხვედრები,როგორც ქალაქის ასევე სოფლის მაცხოვრებლებთან. შევხვდით ნიკო კეცხოველის, გრიგოლ ხანძთელის, სერგეი მესხის, მიხეილ ლერმონტოვის, ეროდიონ ევდოშვილისა, ნოდარ დუმბაძის და თბილისის ქუჩის მოსახლეობას. განვიხილეთ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები და გავეცანით სამომავლო გეგმებს. აქტიური შეხვედრა გვქონდა აფხაზეთისა და 9 აპრილის ქუჩაზე მცხოვრებ დევნილთა დასახლებაში, სადაც საუბარი გვქონდა ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებთან დაკავშირებით.

სოფლების მოსახლეობა: ქვიტირი, მუხიანი, მესხეთი, მაღლაკი, ფარცხანაყანევი და სხვა მაღალმთიანი სოფლები აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივ თვითმმართველობის მიერ დაგეგმილ შეხვედრებში. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ვიმსჯელეთ სოფლებში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.
2024 წლის თებერვალში ძლიერი ნალექის შედეგად დაზიანდა როგორც ქალაქის ასევე სოფლების (ზარათი, სორმონი, რიონი, ნამოხვანი, დღნორისა,დერჩი,ცხუნკური,ჯიმასტარო და სხვა.) მოსახლეობა,რომელთანაც გავმართეთ შეხვედრები და მათთან ერთად განვიხილეთ პრობლემების მოგვარება და სამომავლო გეგმები.

7. მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებული ღონისძიებები

21მარტი დაუნის სინდრომის მსოფლიო საერთაშორისო დღეა - „ჩვენთან ერთად და არა ჩვენთვის“ მ/წ ამ გზავნილით ვესტუმრეთ მუნიციპალიტეტის „ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრს“
35 წელი გავიდა 1989წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან, პატივი მივაგეთ 9 აპრილს დაღუპული გმირების ხსოვნას.
მუზეუმების საერთაშორისო დღე, რომელიც 1977 წლიდან აღინიშნება, გაიმართა „წყალტუბო: წარსული, აწყმო და მომავალი ფოტოალბომის პრეზენტაცია.
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ეროვნული სამოსის დღეს შეუერთდა. ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა ადგილობრივმა მოსახლეობამ საქართველოს დროშებით მსვლელობა მოაწყვეს.
9 მაისი პატივი მივაგეთ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას.
26 მაისი ეროვნული დღესასწაული,საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.
1 ივნისი ბავშვთა დაცვის მსოფლიო საერთაშორისო დღე ტრადიციულად პატარების ჩართულობით მოეწყო.
16 ივნისს აღინიშნა ოტია იოსელიანის დაბადებიდან 93 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად, მწერლის ხსოვნას პატივი მიაგო ადგილობრივმა თვითმმართველობამ.
1 აგვისტოს გულითადად მივულოცეთ 85 წლის იუბილე გაზეთ „ახალი წყალტუბოს“
2 აგვისტოს ვუმასპინძლეთ ფილკლორის IX-ე საერთაშორისო ესტივალს „ლეგენდების ქვეყანას“

2 აგვისტო ტრადიციული „ელიობის“ დღესასწაული აღინიშნა სოფელ მაღლაკში.
8 აგვისტო უმძიმესი დღეა ჩვენი ერისათვის. 16 წელი გავიდა ომის დასრულებიდან. წყალტუბოს მუნიციპალიტეტიდან 4 ვაჟკაცი დაიღუპა:
1. მამუკა სამაკაშვილი
2. რომან უგრეხელიძე
3. მამია ფანცულაია
4. ფილიპე (ლერი) მგალობლიშვილი
31 წელი გავიდა აფხაზეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენებიდან. პატივი მივაგეთ საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპული გმირების ხსოვნას. გაიმართა აფხაზეთის ომის შესახებ დოკუმენტური ფილმის ჩვენება.
გაიმართა საერთაშორისო ფესტივალი „თეატრალური იმერეთი 2024

8. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი დიდი ყურადღებას აქცევს სიახლეებს, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო ახორციელებს გენდერული თანსწორობის კუთხით.
2015 წლის 25დეკემბრის N205 განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეიქმნა საკონსულტაციო– სათათბირო ორგანო „გენდერული თანასწორობის საბჭო“. ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და თანადგომით წყალტუბო არის პირველი მუნიციპალიტეტი იმერეთის რეგიონში სადაც შეიქმნა საბჭო.
საბჭოს ბიუჯეტი 2024 წლისთვის შეადგენს 7000ლ.
გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები არიან: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სამსახურებისა და განყოფილების უფროსები, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები, 5 არასამთავრობო ორგანიზაცია და სხვა. სულ 34 წევრი,
აქედან 21 ქალი და 13 კაცი. ჩატარებულია 3 სხდომა. დეპუტატებმა განიხილეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების საკითხი,სპორტი და გენდერული თანასწორობა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებში, 2024წ. მიღებული ახალი ინიციატივების შესახებ, გენდერული თანასწორობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში, წყალტუბოს

მუნიციპალიტეტში ახალი პროგრამების განხილვა გენდერული კუთხით, 2024წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრების შესახებ და სხვა საკითხები. დედისა დღე და ქალთა საერთაშორისო დღე მივულოცე მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს გენდერული თანასწორობის საბჭო თანამშრომლობს მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან, ხონის, სამტრედიის, სენაკის და სხვა მუნიციპალიტეტებთან, ქალაქის სკოლებთან, პოლიციასთან და სხვა. საბჭოს აქვს facebook გვერდი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო - სადაც ვაშუქებთ ჩვენს მიერ ჩატარებულ საბჭოს სხდომებს, შეხვედრებს, ტრენინგ-სემინარებს და ღონისძიებებს.

19. ჯანსაღი ცხოვრება - სპორტი

წყალტუბოელ სპორტსმენებს მსოფლიო ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისათვის, მწვრთნელებს სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მადლობის სიგელები გადავეცათ: ქრისტინე ჟორჟოლიანმა მოლდოვაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე მარჯვენა და მარცხენა მკლავში ორი ოქრო მოიპოვა, ჯაბა ტყეშელაშვილმა ჭაბუკ ძალოსათა ევროპის ჩემპიონატზე 3 ოქროს მედალი მოიპოვა:102 კგ. წონით კატეგორიაში ატაცში 125 / 130 / 135 კგ, ხოლო აკვრაში კი 163 / 169 კგ დაძლია და ევროპის რეკორდიც დაამყარა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში დავესწარი ქართული ჭიდაობის ტურნირს, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას მიეძღვნა. წყალტუბოს, თბილისის, გორის, ქარელის, საჩხერეს, ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტსმენები ერთმანეთს სხვადასხვა წონით კატეგორიებში დაუპირისპირდნენ.

საუფლო დღესასწაულთან დაკავშირებით სოფ.მაღლაკში გაიმართა სპორტული შეჯიბრებები: ფეხბურთში, მკლავჭიდში, ქართულ ჭიდაობაში, ნარდში, შაშში, ჭადრაკშში და სხვა. გამარჯვებულები კი სხვადასხვა პრიზებით დავაჯილდოვეთ.

10. „შემოდგომის წყალტუბო 2024“

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სახალხო დღესასწაული „შემოდგომის წყალტუბო 2024“ მეთერთმეტედ გაიმართა. ღონისძიებებს საკრებულოს წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები, დამეგობრებული ქალაქების დელეგაციები: იუნიევო (პოლონეთი), სალდუსი(ლატვია), შილუტესი(ლიეტუვა),უნგენი(მოლდოვა), გალაცისა(რუმინეთი),რიზე(თურქეთი),სალსომაჯორე(იტალია) და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრები ესწრებოდნენ. საზეიმო ვითარებაში, ახალსახლობა მივულოცეთ სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიანი ოჯახების წარმომადგენლებს, რომლებსაც წელს 8 ახალი სახლი ავუშენეთ.

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა ფოლკლორული

თეატრალიზებული სანახაობები. მოეწყო საგამოფენო სივრცეები და ეთნოგრაფიული კუთხეები.
გაიმართა სხვადასხვა შემეცნებითი,კულტურული და სპორტული ღონისძიებები, დაიწურა ყურძენი, იმერულ ფაცხებში წარმოდგენილი იქნა სოფლის ნობათი და ტკბილეული.
სახალხო დღესასწაულზე დაჯილდოვებული იქნა ქალაქის საპატიო 12 მოქალაქე:

1. ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტს- მეუფე იოანეს
2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრ- დავით ფაცაციას
3. საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარეს-ირაკლი ლექვინაძეს
4. ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს-კობა ნარჩემაშვილს
5. მშენებელ-ინჟინერს, ენერგეტიკოსს, მკვლევარს-თენგიზ ჯიმშელეიშვილს
6. საზოგადოება ,,ძველი წყალტუბოელების'' თავმჯდომარეს, თვითნასწავლ ხელოვანს-გელა ხუნწარიძეს
7. წყალტუბოს თერმული წყლების სამედიცინო დეპარტამენტის დირექტორს-ნანა გვიშიანს
8. მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელს, ქვიტირის სკოლის პედაგოგსა და არაერთი საერთაშორისო პროექტის ავტორსა და მონაწილეს-კახაბერ ჩაკვეტაძეს

9. წყალტუბოს საპატიო მოქალაქეს, რაიონული საავადმყოფოს პედიატრს- ნუნუ ლექვთაძეს
10. კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლის ლოტბარს- ირაკლი შენგელიას
11. არაერთი თაობის აღმზრდელს, პირველი საჯარო სკოლის პედაგოგს-იზო ჯანგავაძეს
12. დასავლეთ საქართველოს ტაეკვანდოს ფედერაციის პრეზიდენტს, ღირსების ორდენის მფლობელს-ზურაბ სალუქვაძეს.
„შემოდგომის წყალტუბო 2024“ გალა კონცერტით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: ლეგენდარულმა ანსამბლმა ,,ქართული ხმები'', წყალტუბოს კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლებმა "ნადურმა" და "ივერიამ", ბენდმა ,,ჩვენი", ღამის შოუს ბენდმა,სალდუსის ქალთა გუნდმა ,,ლაიქსნემ". საზეიმო ღონისძიება დიჯეის პროგრამით და ფოიერვერკით დაიხურა.

11. დამეგობრებული ქალაქები - „Friendly Cities“

წყალტუბოს მუნიციპალიტეტს ყავს დამეგობრებული ქალაქები.დელეგაციები იუნიევო (პოლონეთი), სალდუსი (ლატვია),შილუტესი(ლიეტუვა) და სეტგოტჰარდი(უნგრეთი)იმყოფებოდნენ წყალტუბოში.

“Ƀამეგობრებული ქალაქების“წარმომადგენლებმა შეხვედრაზე მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოთქვეს.

12. გარემოს დაცვა და დასუფთავება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად უერთდება გაეროს გაეროს გარემოსდაცვით პროგრამას „დავასუფთავოთ მსოფლიო“. კამპანია მიზნად ისახავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და გარემოსდაცვითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით,გაიმართა დასუფთავების აქცია.

2000-ზე მეტი იშვიათი ჯიშის მარადმწვანე მცენარე ქალაქის ტერიტორიაზე უკვე დაირგო.

ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობით და კეთილი ნებით ქალაქში არაერთი ახალი ჯიშის ხე-მცენარე დავრგეთ.